



სსიპ – ღავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

ბრძანება № MOD 5 21 00000215

ქ. ბორო

14/06/2021 წელი



სსიპ-ღავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერის თამდებობაზე საჯარო კონკურსის
გამოცხადების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №16 ბრძანებით
დამტკიცებული სსიპ-ღავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიის (შემდგომში-აკადემია) წესდების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის და
მე-18¹ მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2021 წლის 16 ივნისიდან გამოქვეყნდეს ინფორმაცია საჯარო კონკურსის შესახებ
აკადემიის **სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერის - (1 საშტატო ერთეული)**
თანამდებობაზე;
2. გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობებზე მისაღები კანდიდატი უნდა
აკმაყოფილებდეს ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და
უნარებს;
3. კონკურსში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა კანდიდატებმა განაცხადი ქართულ
ენაზე, მხოლოდ ელექტრონული ფორმით (თანდართული მოთხოვნილი დოკუმენტაციით)
უნდა გადმოგზავნონ **2021 წლის 17 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით** საჯარო სამსახურის
ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით **www.hr.gov.ge** - ზე.
4. დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:
 - აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;
 - სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილების
დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;
 - სამოტივაციო წერილი (სადაც მითითებული იქნება ვაკანტური თანამდებობით
დაინტერესების მიზეზი, ასევე ცოდნა და გამოცდილება, რითაც დასტურდება
კანდიდატის შესაბამისობა გამოცხადებულ ვაკანსიასთან);
5. კონკურსი ჩატარდეს შემდეგ ეტაპად:
 - კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის
შესაბამისობის დადგენა საკონკურსო მოთხოვნებთან;
 - გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან;
6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდეს
სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ;
7. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ, აკადემიაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე
ლიად განთავსების გზით, ასევე განთავსდეს: აკადემიის ვებ-გვერდზე **www.eta.edu.ge** და
საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე **www.hr.gov.ge**;

8. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია / მმართველობა
რექტორი ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში
გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატის ძირითადი
კრიტერიუმები და უნარები

პოზიცია- აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება: დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ინფორმატიკის მიმართულებით.

გამოცდილება: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება. რაც დასტურდება როგორც, სამეცნიერო-კვლევით, ან უმაღლეს პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობით, ისე სამეცნიერო პუბლიკაციებით.

პუბლიკაციები და კვლევითი საქმიანობა:

ბოლო 5 წლის განმავლობაში:

- მინიმუმ 2 პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია ERIH-ის, SCOPUS-ის, Thomson Reuters-ის, ან ანალოგიურ ცნობადობის მქონე სხვა სამეცნიერო ბაზებში;
- მინიმუმ 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტში მონაწილეობა, რომელთა შედეგების მოძიება შესაძლებელია პუბლიკაციების სახით, ან დასტურდება შესაბამისი ცნობით;

კომპიუტერული პროგრამები: საოფისე პროგრამების ცოდნა.

უცხო ენა: ინგლისურის, ან ევროკავშირის რომელიმე სამუშაო ენის სრულყოფილი ცოდნა.

- საქართველოს და ევროკავშირის ძირითადი საგრანტო კონკურსებისა და დაფინანსების სტრუქტურის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ქონა.

ძირითადი ფუნქცია მოვალეობები

- შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
- განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
- მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;
- უზრუნველყოფს ცენტრის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას;
- უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობას, მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებასა და შემდგომი სრულყოფა/განახლებისათვის ცენტრის ხელმძღვანელისთვის წინადადებების წარდგენას;

- უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ჩატარების ორგანიზებას და ასრულებს საბჭოს მდივნის ფუნქციას;
- ახორციელებს ცენტრის სამსახურებრივი საქმიანობის მონიტორინგის ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის ხელმძღვანელისგან მასზე დაკისრებული მოვალეობის განხორციელების, დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზებაში ხელის შეწყობა;
- უზრუნველყოფს აკადემიაში დაგეგმილი სამეცნიერო/საგანმანათლებლო პროგრამებისათვის რესურსების მობილიზებას და დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის სტრატეგიის აღსრულებას;
- ახორციელებს ცენტრის სამუშაო მიმართულებების გაძლიერებისა და ორგანიზაციული განვითარების მიზნით არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებას;
- მონაწილეობას იღებს კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ სახსრების მოძიებაში, პოტენციურ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;
- ახორციელებს აკადემიური პერსონალის მიერ კვლევითი წინადადებების მიღება-დამუშავებას და შესაბამისი რესურსების მოძიებას;
- აწარმოებს თავისი კომპეტენციის (მიმართულების) ფარგლებში კვლევას;
- უზრუნველყოფს პროექტების მონიტორინგს და ამზადებს ანგარიშებს ცენტრის ხელმძღვანელისა და დონორი ორგანიზაციებისათვის;
- უზრუნველყოფს აკადემიაში ჩატარებულ ღონისძიებებში ცენტრის მონაწილეობის მხარდაჭერას;
- კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს სამსახურებრივი დანიშნულების სხვადასხვა დოკუმენტაციასა და სტატისტიკური მონაცემებს;
- კომპეტენციის ფარგლებში სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე ახორციელებს კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურასა და ორგანიზაციებთან;
- ხელმძღვანელობს იუნკერებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;
- ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული სხვა დავალებებსა და მითითებებს;
- ანგარიშვალდებულია ცენტრის უფროსის წინაშე.

დამატებითი ფუნქციონალური მოვალეობები:

- ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობს მისი არყოფნის შემთხვევაში;
- კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო პროცესში;
- საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიის სამართლებრივი აქტებითა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება.

აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- სსიპ–შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულება;
- "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N99/ნ (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ);
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N65/ნ (საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ);
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N69/ნ (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ);

საჭირო უნარ-ჩვევები:

- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ცვლილებებთან ადაპტაციის უნარი;
- კრეატიულობა და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- დროის რაციონალური გადანაწილების უნარი;
- სამუშაოს ორგანიზების უნარი;
- პროექტის და კვლევის მართვის უნარი;
- ლოგიკური მსჯელობისა და აზრის გამართულად გადმოცემის უნარი;
- კომუნიკაბელურობა.